სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსს ვასილ გედევანიშვილს

ბატონო ვასილ,

გაცნობებთ, რომ შპს „ნახიდური ჰესი“ (ს/კ 400207049) ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების ფარგლებში, მდ. ხრამზე ახორციელებს დღეღამური რეგულირების 7.2 მგვტ სიმძლავრის „ნახიდური ჰესი“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტს. აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით გაცემულია შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწვეტილება (2020 წლის 25 აგვისტოს N 2-758), „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექს“-ით დადგენილი მოთხოვნების თანახმად.

დამატებით გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებულმა დეტალურმა საინჟინრო-გეოლოგიურმა კვლევებმა განაპირობა გარკვეული ცვლილებების შეტანა პროექტში, ჰესის უსაფრთხოდ მშენებლობისა და ოპერირების მიზნით.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექს“-ის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის, საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა“. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ „ნახიდური ჰეს“-ის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების სკრინინგის ანგარიშს.

წერილს თან ერთვის დოკუმენტის ელ. ვერსია და საპროექტო ცვლილებების Shp ფაილები.

პატივისცემით,

თენგიზ ალავიძე
დირექტორი
შპს „ნახიდური ჰესი“

შპს "ნახიდური ჰესი" * GEORGIA. "NAKHIDURI HPP" LLC * 400207049